

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

27 დეკემბერი, 2017 წელი

დადგენილება № 04-01/18

ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის ე. მესხიას ანგარიში სპეციალისტთა

მომზადების შედეგებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სპეციალისტთა მომზადებისათვის გატარებული მუშაობის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად (ანგარიში თან ერთვის).

2. უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა, დეპარტამენტებმა და სამსახურებმა არაუგვიანეს 01 თებერვლისა (2018 წ.), უნივერსიტეტის რექტორატს წარმოუდგინონ კონკრეტული წინადადებები სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა აისახოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო (3 წლიან) გეგმებში.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე

ე.მესხია

დანართი

ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის ე. მესხიას ანგარიში სპეციალისტთა მომზადების შედეგებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის გახსნისას (1996 წ.) წამყვან აკადემიურ პოზიციებზე მუშაობდნენ დედაქალაქიდან, ძირითადად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები.

2006 წლამდე უნივერსიტეტისათვის ადგილობრივი კადრების მომზადება ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. სხვადასხვა წლებში უნივერსიტეტში მასწავლებლად მოწვეულ იქნენ ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები: ლელა დოლიძე, ლოლიტა სურმანიძე, ზურაბ ქავთარაძე, შოთა გუჯაბიძე, გიორგი გოგიბერიძე, ნიკოლოზ ტულუში, ნათია შალიკაშვილი, ომარ ბერიძე, ნატო ზაზაშვილი, არჩილ კუპრეიშვილი, ერეკლე სიგუა, ირინა ყურუა, ნინო რურუა, მაია დუმბაძე, ნათია კვაჭაძე და სხვ.

2006 წელს ხელოვნების ფაკულტეტზე მომზადდა სადოქტორო პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობაში (ხელმძღვანელი პროფესორი მაია ჭიჭილეიშვილი). პროგრამის მომზადებაში, გარდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა, მონაწილეობდნენ მოწვეული პროფესორები ვასილ კიკნაძე და ლელა ოჩიაური. 2006-2010 წლებში აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხნენ და დაასრულეს ხელოვნების უნივერსიტეტის მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა: ვლადიმერ ბიბილეიშვილმა, თემურ კეჭერაძემ, რატი ჩიბურდანიძემ, მამუკა ჯორბენაძემ, ნატო ცქვიტინიძემ, ინგა ხალვაშმა, სოფო თავაძემ, სოფიო სანიკიძემ და სხვ. ამჟამად აღნიშნულ პირებს უკავიათ აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობები და წარმატებით მოღვაწეობენ ხელოვნების უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტში ახალგაზრდა სპეციალისტების მოწვევისა და მომზადების მიზნით შეიზღუდა აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვები. კერძოდ, 2010 წელს აკადემიური პერსონალის დატვირთვების წესში შევიდა ცვლილება, რომლითაც აკადემიურ პერსონალს დაუდგინდა განაკვეთზე საათობრივი დატვირთვის შეთავსების ოდენობა. ამ წესმა შესაძლებლობა მისცა ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებს, გამოთავისუფლებულ საათებზე თითქმის ყველა დეპარტამენტში მოეწვიათ ახალგაზრდა სპეციალისტები.

მიუხედავად იმისა, რომ საშემსრულებლო-სახელოვნებო მიმართულებით, მოქმედი კაკონმდებლობით, აკადემიურ პერსონალს არ მოეთხოვება დოქტორანტურის დასრულება და აკადემიური ხარისხის დაცვა, უნივერსიტეტის რექტორატის ხელშეწყობითა და წარდგინებით დოქტორანტურაში სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტის ახალგაზრდა სპეციალისტები თეა ცაგურია, მანანა ხელაია, ნინო დავითაშვილი, თამარ ბერიძე, თამარ ძველაია.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ხელოვნების უნივერსიტეტის სასცენო ხელოვნების დეპარტამენტის მოძრაობისა და რიტმიკის მასწავლებელი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თ. ბერიძე, ხელოვნების უნივერსიტეტის დაფინანსებით 2016 წელს მივლინებულ იქნა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამავე მიზნით, 2017 წელს ხელოვნების უნივერსიტეტში მოწვეულ იქნენ საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები დ. ჩოგოვაძე და შ. გეგიძე.

მსგავსი პრაქტიკა უნივერსიტეტს ადრეულ წლებშიც განუხორციელებია და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოუწვევია პროფესორები გ. მარგველაშვილი, მ. ბერიკაშვილი, მ. ითონიშვილი, ნ. ჩიტაია, ნ. იონათამაშვილი, დ. ჩოგოვაძე და სხვა. მათ მიერ ჩატარებულმა მოკლევადიანმა პრაქტიკულმა კურსებმა ხელი შეუწყო უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, შესაძლებლობის მიხედვით, ცდილობდა გამოთავისუფლებულ თანამდებობებზე დაენიშნა ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. ამჟამად დამხმარე ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებულნი არიან: სოფო თავაძე, ნინო ჯორბენაძე და ინესა კბილაშვილი. სხვადასხვა წლებში უნივერსიტეტში მუშაობდნენ კურსდამთავრებულები რამაზ ადაძე, გელა გელაძე, ეკატერინე გვარამია, თამარ მახარაძე და სხვ.

გატარებული ღონისძიებებით შესაძლებელი გახდა ეტაპობრივად, ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებულიყო უნივერსიტეტის პერსონალი. ამჟამად დედაქალაქიდან აკადემიური პერსონალის მოწვევა ხდება მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ჩასატარებლად. მხოლოდ ერთი მიმართულებით - საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი, უნივერსიტეტი დროებით იწვევს საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო სანადირაძეს.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადების მიზნით, გარდა სადოქტორო პროგრამისა, აქამდე არ ჰქონია სპეციალური გეგმა, რომელშიც მიზანმიმართულად და ორგანიზებულად იქნებოდა ჩამოყალიბებული სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების ამოცანები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და ინსტიტუციური ავტორიზაციის ახალი სტანდარტები უნივერსიტეტისაგან მოითხოვს, სპეციალისტების მომზადება და არსებული კადრების გადამზადება მიმდინარეობდეს გეგმაზომიერად და ეს მოთხოვნები აისახოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

სწორია: